ცენტრალური საარჩევნო კომისიის ცნობა

12 ივნისს საღამოს მოსკოვში, კავშირების სახლში, გაიმართა სსრ კავშირის მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომა. სხდომამ მოისმინა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ვ. ვ. გრიშინის ცნობა კენჭისყრის მიმდინარეობის შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების შესაბამისად, დაიწყო დილის 6 საათზე ადგილობრივი დროით. კენჭისყრა მიმდინარეობდა ორგანიზებულად, ზუსტად საარჩევნო კანონის შესაბამისად. ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში არ შემოსულა რაიმე საჩივარი არჩევნების დებულების დარღვევის თაობაზე.

12 ივნისს დღის 12 საათისათვის საარჩევნო უბნებში გამოცხადდა ამომრჩეველთა 81,60 პროცენტი, საღამოს 6 საათისათვის კი ამომრჩეველთა 98,92 პროცენტი. მოკავშირე რესპუბლიკებში საღამოს 6 საათისათვის კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო: რუსეთის სფსრ რესპუბლიკაში—ამომრჩეველთა 98.61 პროცენტმა, უკრაინის სს რესპუბლიკაში—99,76 პროცენტმა, ბელორუსიის სს რესპუბლიკაში — 99,32 პროცენტმა, უზბეკეთის სს რესპუბლიკაში — 99.51 პროცენტმა, უაზახეთის სს რესპუბლიკაში—99,12 პროცენტმა, საქართველოს სს რესპუბლიკაში—99,29 პროცენტმა, აზერბაიჯანის სს რესპუბლიკაში — 98,57 პროცენტმა, ლიტვის სს რესპუბლიკაში—98,61 პროცენტმა, მოლდავეთის სს რესპუბლიკაში — 99,47 პროცენტმა, ლატვიის სს რესპუბლიკაში — 98,35 პროცენტმა, ყირგიზეთის სს რესპუბლიკაში— 98,87 პროცენტმა, ტაჯიკეთის სს რესპუბლიკაში — 97,46 პროცენტმა, სომხეთის სს რესპუბლიკაში 96,79 პროცენტმა, თურქმენეთის სს რესპუბლიკაში— 97,78 პროცენტმა და ესტონეთის სს რესპუბლიკაში—ამომრჩეველთა 96,83 პროცენტმა.

საოლქო საარჩევნო კომისიების ცნობებში აღნიშნულია, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები ყველგან მშვიდობიანობა ფოლიტიკური ... ... ორგანიზებულობის ... ...

ბურთი და მოედანი—ბავშვებს!

,,სპორტის დედოფალი'' მეტი პატივისცემის ღირსია

მძლეოსანთა ტურნირი, რომელიც თბილისის „დინამოს" სტადიონზე დღეს მთავრდება, ორგანიზატორთა ზრუნვით განებივრებული როდია. I (თბილისის 2, აჭარის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, ქუთაისის) და II (რესპუბლიკის სხვა ქალაქები და რაიონები) ჯგუფებში მონაწილე გუნდების წარმომადგენლები საყვედურს გამოთქვამენ სტარტამდე რამდენიმე დღით ადრე დებულებაში ცვლილებების შეტანის, ტურნირში 1948 წელს დაბადებულთა მხოლოდ კონკურსგარეშე დაშვებისა და სხვათა შესახებ, რამაც ყველას გაუძნელა გუნდების სწორად დაკომპლექტება. ზემოთქმულს თუ იმასაც დავუმატებთ, რომ ჩემპიონატის მესვეურებს არც მონაწილეთა სამკერდე ნომრებით უზრუნველყოფისა და პრიზიორების სიგელებით დროული დაჯილდოებისთვის შეუწუხებიათ თავი, დავრწმუნდებით, რომ ისინი სპორტის ამ სახეობას ან სათანადო პატივს არ სცემენ, ან თავი ვერ მოაბეს დიდი ტურნირის (მონაწილეობს საშუალო და უფროსი ასაკის ასობით ათლეტი) ხარისხოვნად გამართვას.

შეჯიბრების ორგანიზაციული მხარის სისუსტით ბევრმა ისარგებლა და მღვრიე წყალში თევზის დაჭერა სცადა — თბილისში ჩამოიყვანა ტექნიკურად მოუმზადებელი ბავშვები, რომლებმაც ტყორცნის, ხტომისა თუ რბენის ელემენტარული წესებიც კი არ იციან. მაგალითები? რამდენიც გნებავთ. საშუალო ასაკის ჭაბუკთა ასპარეზობისას ვ. კობეშავიძემ (წულუკიძე) ბირთვის კვრაში სამჯერვე დაარღვია წესი, რისთვისაც იგი სამართლიანად მოისსნა შეჯიბრებიდან. ამავე ასაკის გოგონებში ახმეტელი ნ. ჭიკაიძე ძლივს გადახტა 328 სანტიმეტრზე და გუნდს ვერაფერი არგო, კახელმა გ. ბზირიშვილმა კი, რომელიც 330 სანტიმეტრზე გადახტა, 1 ქულა „მოიხვეჭა". წალენჯიხელმა ი. კვირკველიამ 200 მეტრის გარბენას 35 წამი მოანდომა. სიმაღლეზე ხტომელი ვაჟებიდან საწყისი სიმაღლე (140 სმ) ვერ დაძლიეს ა. შუკაიმ (ქარელი), ბ. მაკაროვმა (ახმეტა), ვ. გრძელიძემ (გარდაბანი), ვ. ტვანბამ (აფხაზეთი), ე. ჩოლიაშვილმა (დუშეთი). „ვალში" არც უფროსი ასაკის მოსწავლენი დარჩნენ: ზესტაფონელმა ჭაბუკმა გ. ჩხეიკვაძემ ორი ხელით ბადროს ტყორცნის არნახული მეთოდი გვიჩვენა. უცოდველნი არც მაჯები იყვნენ, განსაკუთრებით მეატარტენი, რომელთაც ცრუსტარტები გამოეპარათ.

და მაინც, ასპარეზობის ორმა დღემ საინტერესო ბრძოლაში განვლო და ბევრი კარგი შედეგიც გამოვლინდა. კონკურსგარეშე მონაწილეებმა ვ. ქუთათელაძემ და გ. კონონენკომ 100 მეტრზე რბენაში ერთხელ კიდევ შეასრულეს ოსტატობის კანდიდატის ნორმა, ამასთან, ქუთათელაძემ პირადი რეკორდი დაამყარა—11,9. კონონენკომ 0,1 წამით წააგო. აქ I თანრიგი აჩვენა კონკურსგარეშე მოასპარეზე ვ. იასშანმაც — 12,3.



ქების ღირსია ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი ი. ცანავა (მწვრთნელი ვ. ნედაშკოვსკი), რომელმაც 1500 მეტრზე რბენაში იერიში მიიტანა უფროსი ასაკის ჭაბუკთა რესპუბლიკურ რეკორდზე და წვიმიანი ამინდის მიუხედავად, მიზანს მიაღწია. მისი დრო — 4.05,7 — 0,3 წამით უმჯობესია ბათუმელი ი. ვალაბუევის მიერ 14 წლის წინათ დამყარებულ რეკორდზე.

ურეკორდოდ არც საშუალო ასაკის სპორტსმენები დარჩნენ. 5 კმ-ზე სპორტულ სიარულში ამ ტურნირამდე რეკორდი არ არსებობდა, ვინაიდან მანამდე ვერავინ გადალახა მისი საწყისი ნორმა — 26.30,0. ამჯერად, თბილისელმა გ. მაკიეფმა აჩვენა 25.50,8 და საშუალო ასაკის ჭაბუკთა რეკორდსმენი გახდა. საერთოდ, სპორტული მოსიარულენი ბევრს გვპირდებიან: ამ სახეობაში ახლა ბევრი ჭაბუკი ვარჯიშობს, რომელთა უმეტესობა (თბილისელები ჯ. მგელაძე, გ. პიკინინელი, ო. დრაბევი და სხვ.) საკმაოდ ნიჭიერია.

ქების ღირსია ლ. ილიუშინა (აფხაზეთი). 15 წლის გოგონამ 155 სმ სიმაღლე გადალახა და პირველად შეასრულა პირველი თანრიგის ნორმა.

თუ წინა ორი სპარტაკიადისა და მიმდინარე ტურნირის პრიზიორთა შედეგებს შევადარებთ, უპირატესობა აშკარად წლევანდელი შეჯიბრების მონაწილეთა მხარესაა. ეს მძლეოსნობის აღმავლობაზე მეტყველებს.

ო. გელაშვილი.

* * *

სურათებზე: მარცხნივ — **200 მეტრზე საშუალო ასაკის ჭაბუკთა რბენის მომენტი. ფინიშთან პირველია ქუთაისელი ა. ჩუბინიშვილი; მარჯვნივ — თბილისელი მძლეოსანი დ. საბაური ბირთვის კვრისას.**

ფოტო ავტორისა.



,,ლელოს" XVIII

სპორტი, ტაბლიცები და ბრიტვები

საშუალო ასაკი

გოგონები. რბენა: 100 მ — ნ. ლომაძე—12,5, ნ. გნიოტოვა (ორივენი — თბ. I) — 12,7, გ. ისმაილოვა (თბ. II) — 12,8, 200 მ — ნ. ლომაძე — 27,3, ლ. კორკოტაძე (გარდაბანი) — 27,4, ნ. მაიოროვა (აფხაზ.) — 28,0; სიმაღლეზე ხტომა — ლ. ილიუშინა (აფხაზ.) — 155, ე. ქარსანიშვილი (ხაშური) — 140, ნ. შეელიძე (მახარაძე) — 140; სიგრძეზე ხტომა —ო. კოსტრიკინა (თბ. II) — 521, ო. მიხაილოვა (აფხაზ.) — 514, ნ. გნიოტოვა (პირადი) — 505; ბადროს ტყორცნა — დ. საბაური — 34,42, ნ. მაჭარაშვილი (ორივენი — თბ. I) — 32,42, დ. ხვედელიძე (ხაშური) — 31,60; ბირთვის კვრა — დ. საბაური—12,03, გ. ბერაია (ფოთი)—11,97, ნ. მაჭარაშვილი — 11,36;

ბიჭები. რბენა: 100 მ — ბ. ქარსელაძე (თბ. I) — 11,2, ა. ჩუბინიშვილი (ქუთ.) — 11,2, ა. ქავთარაძე (ფოთი) — 11,6, 200 მ — ა. ჩუბინიშვილი — 23,6, ბ. ქარსელაძე — 23,7, დ. კორინეველი (თბ. I)— 24,1 და ბ. ჯინჯიხაშვილი (თბ. II)— 24,1; სიგრძეზე ხტომა — ე. ფარსადანოვი (ქუთ.) — 660, ვ. მუსელიანი (აფხაზ.) — 627, ვ. ლოხოვი (ცხინვალი) — 600; სიმაღლეზე ხტომა — ს. რედკოვი (აჭარა) — 175, ვ. ლოხოვი — 170, ა. ჩუბინიშვილი (პირადი) — 170; ჭოკით ხტომა — ვ. ჯაფარიძე (აფხაზ.) — 330, ა. ბუსკაძე (თბ. I) — 320, ვ. გრიგორიანი (აჭარა) — 300; ბადროს ტყორცნა — ი. დოლბაშვილი (საგარეჯო) — 46,82, რ. კალაძე (აფხაზ.) — 41,90, ა. ჩადუნელი (ბლდანის სკოლა-ინტერნატი)— 40,83; ბირთვის კვრა — თ. ხმელიძე (მახარაძე) — 15,01, რ. ტარკილი (აფხაზ.) — 13,89, შ. ჩახვაშვილი (ქუთ.) — 13,67; 5 კმ სპორტული სიარული — გ. მაკიეევი (თბ. I) — 25.50,8 (საქართველოს რეკორდი), ო. დეკეტრაშვილი (თბ. II) — 26.38,2, ო. გულევი (თბ. I) — 26.38,4.

უფროსი ასაკი

გოგონები. რბენა: 100 მ — თ. ეპიფანოვა (თბ. I) — 13,0, ა. ნიკიტინა (აჭარა) —13,5, მ. დადიანიძე (თბ. II) — 13,7, 200 მ — თ. ეპიფანოვა — 27,0, ა. ნიკიტინა — 29,0, მ. დადიანიძე — 29,3, 400 მ— ფ. ბატეევა (ცხინვალი) — 1.05,9, ტ. ლადარია (აფხაზ.) — 1.06,6, ვ. კარპენკო (თბ. I) — 1.10,3; სიმაღლეზე ხტომა — ლ. ლუგოვა (აფხაზ.) — 145, ა. სტეპანენკო (აჭარა) — 140, მ. მარგიევა (თბ. I) — 130; სიგრძეზე ხტომა — ნ. ლიფარიშვილი (საგარეჯო) — 482; ბადროს ტყორცნა — ს. ეზუგბაია (აფხაზ.) — 31,22, მ. ქვლივიძე (საგარეჯო)— 30,90, მ. ტოგონიძე (ონი) — 30,61; ბირთვის კვრა — ს. ეზუგბაია — 10,48, დ. ლუგოვა—10,24, მ. ქვლივიძე — 10,10.

ვაჟები. რბენა: 100 მ — ე. კონდრატიევი (თბ. I) — 10,9, ა. ბეკაური — (ახალციხე) — 11,0, ვ. გოლეთიანი (თბ. I) — 11,1, 200 მ — ე. კონდრატიევი — 22,3, თ. მდინარაძე (მახარაძე) — 23,2, ვ. გოლეთიანი — 23,3, 400 მ — ვ. ეპიმახინი (თბ. I) — 54,8, ა. ფინიკოვი (აფხაზ.)—55,3, ს. ჩიკობავა (ზუგდ.) — 55,8, 1500 მ — ლ. ტატოვი (ქუთაისი) — 4.21,8, გ. ემინოვი (თბ.I) — 4.22,8, ვ. მაიოროვიანი (აფხაზ.) — 4.25,3; სიგრძეზე ხტომა — თ. ციხლაძე (თბ. I) — 660, ა. სარქისიანი (თბ. II) — 629, ვ. მეტაქსე (თბ. I) — 627; სიმაღლეზე ხტომა ბ. კრასნოვი (თბ. I) — 175, ნ. ჩაჩხალია (აფხაზ.) — 165, ვ. ბონომარიოვი (თბ. I)— 165; ჭოკით — ი. ოგანეზოვი (თბ. I) — 350, ჯ. კვიტაძე (თბ. II) — 320, ბ. მგალობლიშვილი (თბ. II) — 280; ბადროს ტყორცნა — ა. ალამგოციანი (ხაშური) — 46,08, ა. ერშოვი (თბ. I) — 44,02, ბ. ჯიოევი (ცხინვალი) — 43,47; ბირთვის კვრა — ო. კაკაურიძე (სამტრედია) — 14,70, ა. ალამგოციანი — 14,29, ვ. მეტაქსე — 13,55; 10 კმ სპორტული სიარული — გ. ბიწკინაშვილი (თბ. II) — 54.27,0, ჟ. მგელაძე (თბ. I) — 54.44,0, რ. დრაბევი (თბილისი II) — 54,58,0.

ჩემპიონები უბრძოლველად

საქართველოს პროფტექგანათლების სასწავლებლების მოსწავლეთა IX რესპუბლიკური სპარტაკიადის ზონალურ შეჯიბრებაში, რომელიც ოქტომბრის რევოლუციის 50-ე წლისთავს მიეძღვნა, მონაწილეობდა თბილისის მე-5, მე-6, მე-11, მე-18, 31-ე და 32-ე სასწავლებლების 600-მდე სპორტსმენი.

საერთო გუნდურ ჩათვლაში კარგად გამოვიდნენ მ. თოიძის სახელობის მე-11 სამხატვრო სასწავლებლის წარმომადგენლები (დირექტორი გ. გოგოლაშვილი, ფიზიკურდის ხელმძღვანელი კ. გირგიდოვი), რომლებმაც პირველობა დაიპაყრეს.

ფეხბურთელთა ტურნირში უძლიერესი იყო 31-ე სასწავლებლის კოლექტივი. მან ფინალში დამარცხა მე-11 სასწავლებლის გუნდი — 3:2.

მოჭადრაკეთა ასპარეზობაში ა. მერაბიანი, ზ. ბარბაქაძე და თ. სტაროვოიდოვი პრიზიორები გახდნენ და II თანრიგის ნორმა შეასრულეს. ამ გამარჯვებით მათ ყველაზე მეტი ქულა შესძინეს თავიანთ კოლექტივს — 32-ე სასწავლებლის გუნდს, რომელმაც I ადგილი დაიკავა.

მძლეოსნობაში 3 გამარჯვება იზეიმა ო. ერისთავმა (მე-5 სასწავლებელი). იგი უძლიერესი იყო 100 და 200 მეტრზე რბენასა და სიგრძეზე ხტომაში. კ. ჯიოევმა (31-ე სასწავლებელი) 185 სმ სიმაღლე გადალახა და ჩემპიონობა მოიპოვა. რვაკეფიდან ყველას აჯობა ვ. მარტინიუკმა — 2457 ქულა. მან შარშან დაამთავრა მე-6 სასწავლებელი და ახლა თბილისის ავტომექანიკოებელ ქარხანაში მუშაობს. თუ გავიხსენებთ, რომ შარშან რვაკეფიში მარტინიუკს 3000 ქულა ჰქონდა, დავრწმუნდებით, რომ ქარხანაში მას არა აქვს წვრთნის სათანადო პირობები.

კლასიკური და თავისუფალი სტილის მოჭიდაოეთა ტურნირი საინტერესო ბრძოლებით ვერ დაიქადნის. ცალკეულ წონით კატეგორიებში 3-4 ათლეტი გამოვიდა, მე-11 სასწავლებლის გუნდის წევრებს ზ. მაჩულაშვილსა (ქვემძიმე წონა) და ვ. ბრეგვაძეს (მძიმე წონა) კი საერთოდ არ ჰყავდათ მეტოქენი, რის გამო მათ უბრძოლველად მიეკუთვნათ პირველობა.

დაბალი შედეგები ჰქონდათ ტანმოვარჯიშეებს. გამარჯვებულმა ვ. ნათელაშვილმა (მე-11 სასწავლებელი) მხოლოდ 53,5 ქულა მოაგროვა.

ფრენბურთელთა ტურნირი მოიგო მე-6 სასწავლებლის გუნდმა. კალათბურთში პირველი იყო მე-18 სასწავლებლის ნაკრები, რომელმაც ფინალში მოუგო მე-11 სასწავლებელს — 38:34. მაჯიდის ჩოგბურთში უძლიერესი აღმოჩნდა მე-5 სასწავლებლის გუნდი.

ზონალურ სპარტაკიადაში გამარჯვებული კოლექტივები მონაწილეობას მიიღებენ რესპუბლიკური სპარტაკიადის ფინალში, რომელიც მალე გაიმართება თბილისში.

ვ. ბუკია.

ტ. პეტროსიანი

პეტროსიან — სპასკის მატჩის დამთავრებისას ახალი ამბების სააგენტოს მიმომხილველმა, დიდოსტატმა ი. ავერბახმა ინტერვიუ გამოართვა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს ტ. პეტროსიანს. გამარჯვებულმა სთხოვა ავერბახს ყველა გულშემატკივრისთვის გადაეცა კეთილი სურვილები და მადლობა ყურადღებისა და მილოცვებისთვის.

აი, თვით ინტერვიუც:

● **მიმომხილველები აღნიშნავდნენ, რომ თქვენ საუკეთესოდ მოემზადეთ ამ მატჩისთვის. უფრო დაწვრილებით ხომ არ გვიამბობთ თქვენს სამზადისზე?**

— მატჩისთვის სამზადისს კარგა ხნით ადრე შევუდექი. სპასკისა და ტალის ფინალური მატჩი დაწყებულიც არ იყო, მე და ჩემს მწვრთნელს კი უკვე დამუშავებული გვქონდა მზადების საფუძვლიანი გეგმა. პირველ ეტაპზე ვსწავლობდით ჩემს პარტიებს, ვცდილობდით უცხო თვალით შეგეხედა მათთვის. პრეტენდენტთა მატჩი რომ დაიწყო, საგანგებოდ ჩავედი თბილისში, რათა მომავალი მეტოქეებისთვის მეთვალთვალა. როცა ნათელი გახდა, რომ სპასკი იგებდა, მოსკოვს დავბრუნდი და მისი შემოქმედების შესწავლას მოვკიდე ხელი, რასაც საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა. მხოლოდ ამის შემდეგ დავიწყე მზადება 24 პარტიისთვის. შევიმუშავე სადებიუტო რეპერტუარი და მატჩის მსვლელობის ტაქტიკა. მატჩამდე დაახლოებით ერთი თვით ადრე კი მეცადინეობა შევწყვიტე, რათა ორთაბრძოლის წინ კარგად დამესვენა.

● **მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ბოტვინიკმა ერთხელ თქვა, რომ პრეტენდენტი მუდამ ჩემპიონზე უკეთაა მომზადებული პრაქტიკულად. იზიარებთ ამ შეხედულებას?**

— ვიზიარებ. პრეტენდენტი, რომელიც მსოფლიო ჩემპიონთან მატჩის უფლებისთვის იბრძვის, კარგ პრაქტიკულ სკოლას გადის, საუცხოო წვრთნას იღებს. მაგრამ, ამავე დროს, იგი იქანცება ფიზიკურად და სულიერად. მე კარგად მესმოდა, რომ შეიძლებოდა სპასკი უკეთ ნავარჯიშევი გამომდგარიყო. ამიტომ, წვრთნის მიზნით, ვითამაშე ერევნის საერთაშორისო ტურნირში, მოსკოვ — ლენინგრადის მატჩში, მოსკოვის გუნდურ პირველობაში და დიდოსტატთა საგანგებოდ ორგანიზებულ ტურნირში. ამ შეჯიბრებებს ჩემთვის საჭირო სასწვრთნელი მიზნით ვიყენებდი, ვცდილობდი გამომეაშკარავებია ჩემი თამაშის ხარვეზები.

ამ მხრივ კარგი სამსახური გამიწია ორმა შეხვედრამ ვ. კორჩნოისთან მოსკოვ — ლენინგრადის მატჩში. ამ პარტიებმა (პეტროსიანმა ორივე პარტია წააგო. — რ ედ.) მაიძულა სერიოზული ყურადღება მიმექცია მომზადებისთვის და ხელი შეუწყო ჩემს მობილიზებას მომავალი ბრძოლის წინ. სამწუხაროდ, კორჩნოისზე ამ შეხვედრებმა, მგონი, საწინააღმდეგოდ იმოქმედა, მცდარი შეხედულება შეუქმნა საკუთარ ძალაზე.

საჭადრაკო დაფასთან ბრძოლაში კოვ — ლენინგრადის მატჩში. ამ პარტიებმა (პეტროსიანმა ორივე პარტია წააგო. — რ ედ.) მაიძულა სერიოზული ყურადღება მიმექცია მომზადებისთვის და ხელი შეუწყო ჩემს მობილიზებას მომავალი ბრძოლის წინ. სამწუხაროდ, კორჩნოისზე ამ შეხვედრებმა, მგონი, საწინააღმდეგოდ იმოქმედა, მცდარი შეხედულება შეუქმნა საკუთარ ძალაზე.

● **რას იტყვით მატჩის შესახებ?**

— I პარტიაში ხელიდან გავუშვი უპირატესობის მოპოვების შესანაშავი შანსი. ამან ისე იმოქმედა ჩემზე, რომ მომდევნო ორ შეხვედრას დაშვებული შეცდომის შთაბეჭდილებით ვხედავდით დაძაბული და აღელვებული ჭითამაშობდი. II პარტიის დაბოლოება არც ისე მარტივი იყო, როგორც ეს ზოგიერთ მამოძრავებელს ეჩვენა. მინდა აღვნიშნო დიმთავარია არ გადაიქანცო, — 5 საათის განმავლობაში ნათელი გონება შეინარჩუნო. ამიტომ, თუ გინდა წარმატებები მოიპოვო, რაციონალური უნდა იყო: მსუბუქად ითამაშო, ძალა დაზოგო, საქმე დიდ ცაიტნოტამდე არ მიიყვანო. შემიძლია ჩამოვთვალო ჭადრაკის ბევრი ნიჭიერი ოსტატი, ძალთა არარაციონალური განაწილების გამო ის შედეგი რომ ვერ აჩვენა, რისი უნარიც ჰქონდა. ასეთ მოჭადრაკეებს მე, მაგალითად, ...

...დი შეუპოვრობა და გამომგონებლობა, რაც სპასკიმ გამოავლინა დაცვაში.

ამ მატჩში ჩემს საუკეთესო მიღწევად VII პარტია მიმაჩნია. იგი კარგად გამოსატავს ჩემს შემოქმედებით თვალსაზრისს: მეტოქის შესაძლებლობათა შეზღუდვას, მთელ დაფაზე თამაშის სტრატეგიას, ალყასა და მეტოქის მეფის გარშემო რკალის თანდათანობით შემოჭდომას.

მატჩში ორი კრიტიკული მომენტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲥᲮᲘᲚᲘ ᲥᲐᲜᲐᲚᲘ

● **ᲑᲣᲓᲐ�პᲔᲨᲢᲘ**, 12 ივნისი. აქ მოეწყო უნგრელ და პოლონელ ძალოსანთა სამატჩო შეხვედრა. ფიცარნაგზე გამოვიდნენ 2 ოლიმპიური, მსოფლიოს 6 და ევროპის 7 ჩემპიონი, მსოფლიოს 6 რეკორდსმენი, მათ შორის, პოლონელები მ. ზელინსკი, ვ. ბაუანოვსკი, ი. პალინსკი, უნგრელები ი. ფიოლდი, დ. ვერეში, კ. ეჩერი და სხვ. შესანიშნავ წარმატებას მიაღწია ი. ფიოლდიმ (მჩატე წონა): მან აჭიმა 121 კგ და 3,5 კგ-ით გააუმჯობესა წინანდელი მსოფლიო რეკორდი.

● **ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ**, 12 ივნისი. გდრ-ში სტუმრად იმყოფებიან მოსკოვის „სპარტაკის“ ფეხბურთელები. პირველ მატჩში ისინი შეხვდნენ გდრ-ის ჩემპიონს — „ფორვერტსს“. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 3:0.

● **ᲑᲠᲝᲛᲚᲘ** (ინგლისი), 12 ივნისი. აქ გრძელდება ბეკენჰემის კლუბის საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც წარმატებით გამოდიან საბჭოთა ჩოგბურთელები. გოგონათა შეჯიბრების ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან მოსკოველები რ. ისლანოვა და ო. მოროზოვა. პირველმა მოუგო ავსტრალიელ ვ. ბარტონს — 6:4, 6:3, ხოლო მეორემ — ინგლისის ჩემპიონს ც. მოლსვორტს — 6:3, 6:4. წყვილთა შეჯიბრებებში კარგად თამაშობენ ა. მეტრეველი და ს. ლიბაჩოვი. მეოთხედფინალში მათ დაამარცხეს ავსტრალიელები კ. ფლეტჩერი და ჯ. ხუნდი — 6:4, 6:4. ჩვენების მეტოქე ნახევარფინალში იქნება ავსტრალიური დუეტი ვ. ბოვრეი — ო. დავიდსონი, რომლებმაც თავის მხრივ დაამარცხეს მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონები ჯ. ნიუკომბი და ე. როჩი — 8:6, 3:6, 7:5.

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

„ᲯᲘ“ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ II ᲯᲒᲣᲤᲘ

I ᲙᲕᲘᲠᲐᲜᲘ

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

მდგომარეობა 14 ივნისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ᲣᲜᲒᲐᲜᲘ“ (კრასნოდარი)	11	6	4	1	17—4	16
„ᲕᲐᲚᲒᲘᲠᲘᲡᲘ“ (ვოლგოგრადი)	12	7	2	3	20—11	16
„ᲢᲔᲥᲡᲢᲘᲚᲬᲘᲙᲘ“ (ივანოვო)	11	6	4	1	17—9	16
„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ (რიგა)	11	5	3	3	19—9	13
„ᲢᲠᲐᲥᲢᲝᲠᲘ“ (ვოლგოგრადი)	11	5	3	3	12—12	13
„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ (სტავროპოლი)	12	5	3	4	9—10	13
„ᲗᲔᲠᲔᲚᲘ“ (გროზნო)	12	4	5	3	10—12	13
„ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ“ (თბილისი)	11	3	6	2	15—11	12
„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ (ციროვაბადი)	11	3	5	3	10—8	11
„ᲠᲣᲑᲘᲜᲘ“ (ყაზანი)	11	4	3	4	10—10	11
„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ (ბათუმი)	11	4	2	5	12—13	10
„ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘ“ (ნალჩიკი)	12	3	4	5	8—14	10
„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ (ტალინი)	11	2	4	5	10—11	8
„ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘ“ (გომელი)	11	2	4	5	5—12	8
„ᲑᲐᲚᲢᲘᲙᲐ“ (კალინინგრადი)	11	2	4	5	5—13	8
„ᲠᲝᲡᲢᲔᲚᲛᲐᲨᲘ“ (როსტოვი)	11	1	5	5	5—15	7
„ᲨᲘᲠᲐᲙᲘ“ (ლენინაკანი)	12	1	5	6	8—18	7

ᲛᲬᲕᲐᲕᲔ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ

ᲨᲣᲒᲓᲘᲓᲘ, 13 ივნისი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). „ბ“ კლასის IV ზონის გუნდებს კალენდარულ მატჩში ადგილობრივმა „ენგურმა“ მიიღო სოხუმის „დინამო“.

მიუხედავად კოკისპირული წვიმისა, მატჩი მაღალ ტემპში და საინტერესოდ დაიწყო. მე-10 წუთზე ზუგდიდელთა ლამაზი კომბინაცია ბულიამ გოლით დააგვირგვინა, მაგრამ 5 წუთის შემდეგ მასპინძელთა მეკარე სოსელიას შეცდომა კარგად გამოიყენეს ზუხბაიამ და ანგარიში გაათანაბრა — 1:1. 30-ე წუთზე სოხუმელმა სპირიდონოვმა დააწინაურა თავისი გუნდი — 2:1.

შესვენების შემდეგ ზუგდიდელები თავგამოდებით უტევდნენ მეტოქეს, მაგრამ 75-ე წუთამდე ანგარიშის გაქვითვა ვერ შეძლეს. მაგრამ ალ. ჯოპუამ თავური დარტყმით აღადგინა წონასწორობა.

ეს ანგარიშიც მალე შეიცვალა: სოხუმელმა ფიფიამ კვლავ წინ გაიყვანა დინამოელები — 3:2.

ასე დამთავრდა მატჩი.

ბ. ᲐᲚᲬᲘᲒᲐᲘᲐ.

„ᲛᲨᲕᲐᲚᲐᲓ“...

12 ივნისს პიატიგორსკში შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე „ბ“ კლასის როსტორ-ს IV ზონის გუნდებს შორის. ადგილობრივი „მაშინოსტროიტელი“ შეხვდა გორის „დილას“.

გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 3:0.



ᲛᲔᲠᲘᲢᲘᲡ ᲯᲒᲣᲤᲘ ᲘᲣᲜᲘᲝᲠᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲐ

ᲪᲐᲮᲐᲑᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ

ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘ ᲒᲐᲕᲘᲓᲜᲔᲜ: Ც. ᲙᲐᲮᲐᲑᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ, Ა. ᲩᲘᲙᲝᲕᲡᲙᲐᲘᲐ, Ც. ᲙᲝᲑᲐᲘᲫᲔ ᲓᲐ...

გუშინწინ თბილისის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში დამთავრდა საქართველოს მოჭადრაკე ქალთა XXIII ჩემპიონატის ბოლო, XVII ტურში ა. ჩაიკოვსკაია — ნ. ჩიქობავას გადადებული პარტია. მის შედეგზე იყო დამოკიდებული, ვინ იქნებოდა საქართველოს წლევანდელი ჩემპიონი: ა. ჩაიკოვსკაია თუ ც. კახაბრიშვილი.

პარტია წინდწინ ა. ჩაიკოვსკაიას უპირატესობით გადაიდო. თამაშის განახლებისას საერთაშორისო ოსტატმა მოგების რეალური შანსები შექმნა, მაგრამ ბრძოლაში ცაიტნოტი ჩაერია. აჩქარებულ თამაშში ჩაიკოვსკაიამ მძიმე შეცდომა დაუშვა, დამარცხდა და... საქართველოს ჩემპიონი გახდა ციცინო კახაბრიშვილი.

უკიდურესობამდე დაძაბული ბრძოლა გაჩაღდა ც. კობაიძესა და თ. ხუციშვილს შორის XVII ტურის გამტოვებულ პარტიაში. საქმე ის არის, რომ სსრ კავშირის ქალთა ჩემპიონატის ნახევარფინალში საქართველოდან პერსონალურად მიწვეული ოსტატების — ე. კაკაბაძის, ნ. ალექსანდრიასა და პირველობანრიგოსან ლ. კოროშინაძის გარდა, კიდევ 4 მოჭადრაკე დაიშვება. ამრიგად, ორივე მოჭადრაკეს შეეძლო ნახევარფინალში გასვლა. გიმარჯვა კობაიძემ.

ამრიგად, ნახევარფინალში გავიდნენ ც. კახაბრიშვილი, ა. ჩაიკოვსკაია და ც. კობაიძე. მეოთხე საგზურის მფლობელს გამოავლენს ნ. ხუბულურ — ნ. ჩიქობავას მატჩი ნ პარტიიდან.

ა ი, XXIII ჩემპიონატის საბოლოო შედეგებიც:

I. ც. კახაბრიშვილი — 14 ქულა, II. ა. ჩაიკოვსკაია — 13,5, III. ც. კობაიძე — 11,5, IV-V. ნ. ხუბულური, ნ. ჩიქობავა — 11-11, VI. თ. ხუციშვილი — 10, VII. ნ. მანველოვა — 9,5, VIII. ს. ივანოვა — 9, IX. მ. ლოლიშვილი — 8, X-XI. ჭ. გოგიავა, ლ. ნაჭყებია — 7-7, XII. ა. ბაძაღუა (ზუგდიდი) — 6, XIII. მ. ჩომახიძე — 5,5, XIV. დ. სვანაძე (ქუთაისი) — 4,5, XV-XVI. ნ. გიორგაძე (ბათუმი), თ. ჩხიკვაძე (სოხუმი) — 3,5-3,5, XVII. ზ. შენგელია (სამტრედია) — 1,5.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა, 19 წლის ც. კახაბრიშვილმა პირველად მოიპოვა რესპუბლიკის ჩემპიონობა, მაგრამ ნიჭიერი ქალიშვილი უკვე კარგა ხანია იპყრობს სპეციალისტთა ყურადღებას. იგი წარმატებით მონაწილეობს სხვადასხვა ტურნირში როგორც თბილისში, ისე რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ. საკმარისია ითქვას, რომ ციცინო რამდენიმეჯერ იყო თბილისის ჩემპიონი, საქართველოს ჩემპიონატის პრიზიორი, ხოლო ამ ზამთარს თავი ისახელა სტუდენტთა საკავშირო ასპარეზობაში.

ახალი ჩემპიონი ჩვენი ჭადრაკის საიმედო და პერსპექტიული ძალაა. მაგრამ მას კიდევ ბევრი მუშაობა მართებს, რომ მტკიცედ მოიკიდოს ფეხი დიდი ჭადრაკის სარბიელზე. ეჭვი არ არის, ნიჭიერი მოჭადრაკე ღირსეულად ატარებს საქართველოს ჩემპიონის სახელს.

ჩემპიონატის სასიამოვნო სიურპრიზია ახალგაზრდა მოჭადრაკეების ც. კობაიძის, ნ. ხუბულურისა და ნ. ჩიქობავას წარმატება. თუ თბილისის ჩემპიონი ჩიქობავა შედარებით გამოცდილი მებრძოლია, მისი უმცროსი კოლეგები — 15 წლის ციური და 14 წლის ნინო — პირველად მონაწილეობდნენ მოჭადრაკე ქალთა დიდ ფორუმში და თავი არ შეურცხვენიათ. მათი სახით ქართული ჭადრაკის ხვალინდელ დღეს ვხედავთ. გვინდა აქვე ვუთხრათ ნიჭიერ ახალგაზრდებს, რომ დიდი წარმატება მხოლოდ დაუღალავი და შეუპოვარი შრომით, სისტემატური და გულდაგული მეცადინეობით მიიღწევა.

ასპარეზობა დაძაბული და მიმზიდველი იყო. მოჭადრაკეებს თამაშის კარგი პირობები ჰქონდათ. ზუსტად მუშაობდა მსაჯთა კოლეგია, რომელსაც რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი ლ. წეროძე ხელმძღვანელობდა.

თ. ᲜᲘᲜᲝᲨᲕᲘᲚᲘ.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ც. კახაბრიშვილი.
ფოტო ლ. პოლეტაევისა.

ᲭᲐᲒᲣᲙᲗᲐ ᲤᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ

ᲒᲣᲨᲘᲜᲬᲘᲜ თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე დაიწყო „ა“ და „ბ“ კლასების ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივებთან არსებული მოსამზადებელი ჯგუფების რესპუბლიკური ტურნირის ფინალური გათამაშება.

პირველად ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლისა და გორის „დილის“ გუნდები. თბილისელებმა შესამჩნევი უპირატესობით ჩაატარეს მატჩი და დაამარცხეს მეტოქე — 2:0.

თბილისის გუნდების — „ლოკომოტივისა“ და „დინამოს“ შეხვედრაში საერთო ინიციატივა დინამოელებს ჰქონდათ და, ამასთან, სუსტად ითამაშა „ლოკომოტივის“ მეკარე რუხაძემ. რკინიგზელები დამარცხდნენ — 1:3.

მეტად საინტერესო ბრძოლაში მიმდინარეობდა ქუთაისის „ტორპედოსა“ და სოხუმის „დინამოს“ მატჩი. ნორჩმა ფეხბურთელებმა აჩვენეს მაღალი ტექნიკური მომზადება, მონდომება. ანგარიში გახსნეს სოხუმელებმა, ხოლო „ტორპედომ“ შემდგომში გაქვითა გოლი — 1:1.

დღეს იმავე სტადიონზე ტურნირი გრძელდება. თამაშების განრიგი ასეთია: **9 საათზე** — „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „ტორპედო“ (ქუთაისი), **17 საათზე** — „დილა“ (გორი) — „დინამო“ (სოხუმი), **19 საათზე** — თბილისის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა — „დინამო“ (თბილისი).

ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

პირველი ნახევრის უსიამოვნების შემდეგ გონს მოვიდა და XIII პარტიაში დამამარცხა.

წაგება თავისთავად ძალიან არ მაღელვებს, მთავარია უფრო ის, თუ როგორ დავმარცხდი. წაგებით კი ეს პარტია ორჯერ წავაგე, დამთავრებისას საყაიმო პოზიციას მივაღწიე, მაგრამ ცაიტნოტში ისევ შევცდი.

ამიტომ მომდევნო, XIV პარტიას (იგი მეორე დღეს შედგა) სულიერად გამწვავდა, დამარცხებამ სასიკეთო გავლენა მოახდინა ჩემზე, მაიძულა მთელი ძალა მომყრიბა გადამწყვეტი, ფინალური შეხვედრების წინ.

● **რას იტყოდით სპასკიზე?**

— მიმომხილველებს მიაჩნიათ, რომ სპასკიმ ამ მატჩში ვერ გამოავლინა მთელი შესაძლებლობა. ბოტვინიკის სიტყვებით რომ ვთქვათ, მან ვერ შეძლო სათანადოდ „დაპროგრამირებულიყო პეტროსიანზე“: ეს ვერც ბოტვინიკმა გელერსა და ტალზე ბრწყინვალე გამარჯვებათა შემდეგ სპასკიმ ირწმუნა თავისი იდეალი, იფიქრა, აწი ყოველივე, ასე ვთქვათ, ინერციით წავალ.

● **ძალიან დაგლალათ მატჩმა?**

— რასაკვირველია, დავიღალე, მაგრამ მგონი არა ისე, როგორც ბოტვინიკთან მატჩში. ანდა, შეიძლება, უბრალოდ მივეჩვიე კიდეც სამატჩო ბრძოლას.

● **როგორ აფასებთ ექსპერიმენტებს დებიუტში, რომლებსაც სპასკი იყენებდა მატჩის მეორე ნახევარში?**

— ასე თამაში შეიძლება, მაგრამ სახიროა თუ არა — ეს სხვა საკითხია. სპასკის, ალბათ, გაჭირვება უკარნახებდა ხელი აეღო აღიარებულ სადებიუტო ხქემებზე. მაგრამ მას შემდეგ, რაც პრეტენდენტი ერთხელვე დაადგა ამ გზას, იძულებული ვიყავი ამისთვის ანგარიში გამეწია. თქვენთვის საინტერესო იქნება იცოდეთ, XXII პარტიისთვის მომზადების პროცესში ველოდით, რომ 1. d4-ზე სპასკის შეეძლო 1. ... b5 ეთამაშა.

● **ზოგიერთი მიმომხილველი ამბობდა — ამ მატჩში დაცვა უფრო ძლიერი იყო. თქვენ რას იტყვით?**

— ნაწილობრივ ვეთანხმები მათ. ეს თანამედროვე ჭადრაკის თვისებაა. დღეს დამუშავებულია დაცვის მეტად სრულყოფილი ხერხები — ეერიშის პროფილაქტიკური უვნებელყოფა, აუღებელ პოზიციებზე ჯაან დახვევა. პოზიციის განტვირთვის სხვადასხვა მეთოდი, პაიკის შეწირვა საყაიმო დაბოლოებაში გადასვლით და ა. შ. ჩვენს დროში თანაბარი ძალის მეტოქესთან მოგებაზე თამაში დიდ წინასწარ მომზადებას, ბრძოლის ღრმად გააზრებულ ტაქტიკას მოითხოვს.

● **გვითხარით, რამდენიმე სიტყვა თქვენს სამერმისო გეგმაზე.**

— მატჩის შემდეგ, ცხადია, დავისვენებ. დიასპორტაციას მოვკიდებ ხელს. ამისათვის შეიძლება დროებით მივატოვო კიდეც ჭადრაკი.



● **თქვენი საჭადრაკო გეგმები?**

— რამდენიმე ხნის შემდეგ სიამოვნებით ვითამაშებდი კარგ საერთაშორისო ტურნირში. ძალიან საინტერესოა შემოწმება იმისა, თუ როგორ თამაშობს ახლა დავაკაცებული ფიშერი. მარიოლა ასე გაიზარდა ბენტ ლარსენი?



ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ტ. პეტროსიანი საზეიმოდ შეამკეს ჭადრაკის მეფის დაფნის გვირგვინით. ფიდე-ს ვიცე-პრეზიდენტი, კანადელი დ. პრენსისი (მარცხნივ) დიდ გამარჯვებას ულოცავს პეტროსიანს. მარჯვნივ — მატჩის მთავარი არბიტრი, ბელგიელი დიდოსტატი ა. ოკელი.

ფოტო ბ. ხვეტლანოვისა.

პრობლემები, პრობლემები

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულ 27 დღე დარჩა მსოფლიოს VIII ჩემპიონატის ფინალური ტურნირის დაწყებამდე. სარ კავშირის ნაკრებ გუნდს კი პირველი კალენდარული მატჩი ოქროს ქალღმერთისთვის ბრძოლაში 28 დღის შემდეგ ექნება. ფეხბურთის სამშობლოში — ინგლისში შეიკრიბება 16 ფინალიტი. რომელთა დიდმა უმეტესობამ უაღრესად მწვავე ბრძოლით გაიკვლია გზა შორეული ალბიონის ნისლიანი ნაპირებისკენ.

ამ უაღრესად დიდნიშვნელოვანი შეჯიბრებისთვის უკვე კარგა ხანია გაცხოველებით ემზადება საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდი. შეიძლება ითქვას, რომ არც შვეიცისა და არც ჩილის ჩემპიონატებისთვის არ ემზადებოდა ჩვენი ნაკრები ასე ხანგრძლივად და ასე მასშტაბურად. ტურნე ლათინური ამერიკის ქვეყნებში, გამოსვლები იუგოსლავიის, ჩეხოსლოვაკიის. შვეიცარიის, ბელგიის, დანიის სტადიონებზე, შეხვედრები ავსტრიელებთან. იტალიელებთან, ფრანგებთან... ერთი სიტყვით. განვლილია დიდი მოსამზადებელი ეტაპი და ახლა, როგორც მძღოლნები ამბობენ, ჩვენი ნაკრები ფინიშის სწორზე გავიდა: ინგლისი უკვე სულ ახლოსაა!

ინგლისურ ნისლს არაერთხელ გაუწვია ცუდი სამსახური ფეხბურთელთათვის (და მაყურებლებისთვისაც), მაგრამ იქაური სინოპტიკოსები საიმედო პროგნოზებს იძლევიან: ჩემპიონატის დღეებში მოწმენდილ ცასა და კარგ ამინდს გვპირდებიან. მაგრამ ამინდი ამინდია და ცუდია ის, როცა რომელიმე გუნდის საქმეებია ნისლით მოცული. სამწუხაროდ, ერთობ ბურუსიანი ვითარებაა სარ კავშირის ნაკრებში. პირდაპირ გაოცებას იწვევს მისი ხელმძღვანელის ნ. მოროზოვის უსაფუძვლო ოპტიმიზმი. რა თქმა უნდა. იმედი კარგი რამაა (უიმედოდ ჩვენი მტერი იყოს!), მაგრამ. როცა იგი მყარ საინრკველს არ ემყარება და ლოგიკასაც მოკლებულია. რბილად რომ ვთქვათ. ეს გაკვირვებას იწვევს. ინგლისის ნაპირები უკვე ჰორიზონტზე ჩანს, ჩვენი გუნდი კი ჯერ კიდევ შორსაა სტაბილური შემადგენლობისგან. ნაკ ჯერ კიდევ ბევრი პრობლემა აქვს გადასაჭრელი.

სარ კავშირის ნაკრები გაცილებით უკვეთ გამთიყურება როცა იგი იერიშზეა გადასული და საოამაშო ინიციატივას ფლობს (მაგალითად, იტალიის „ლანეროსისთან“ და საფრანგეთის ერთულ გუნდთან მატჩებში). თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი თავდამსხმელების უდიდესი ნაწილია ამ უპირატესობის საოცრად მცირე პროცენტული რეალიზება. უარესადაა საქმე, როცა მეტოქე კონტრიერიშებს ახორციელებს ან შეტევაზეა გადმოსული. მაშინ დაცვითს ზღუდეებში თავს იჩენს დიდი ტაქტიკური და ტექნიკური ხარვეზები.

მივყვეთ თავიდან...

ჩვენი აზრით, დიდი შეცდომა იყო წინასწარ ოფიციალურ განაცხადში მეკარეთა სიაში ურუშაძის შეუყვანლობა (სამწუხაროდ. ამას უკვე აღარაფერი შეშველება). ინგლისისთვის გამიზნული 4 მეკარიდან (იაშინი, კავაზაშვილი, ბანიკოვი, მასლაჩენკო) ყველაზე უკეთ იაშინი და კავაზაშვილი გამოიყურებიან. მაგრამ ერთიცა და მეორეც უშეცდომოდ როდი მოქმედებენ. შეცდომებს კი ინგლისის სტადიონებზე მათ არავინ აპატიებს.

ჩვენი გუნდის დაცვის შეუთანხმებელი, სუსტი თამაში განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო საფრანგეთის ნაკრებთან ამასწინანდელ მატჩში. მისი უპირველესი ხარვეზია ზედმეტი პერსონალური მეურვეობით გატაცება. ერთიერთდაზღვევა უმეტესად სტიქიური ხასიათისა გახლავთ, თანაც, მცველები, რატომღაც, საკსებით უგულებელყოფენ პერსონალური მეურვეობის შეთავსებას ზონასთან, რაც თანამედროვე ფეხბურთის ერთ-ერთ ქვაკუთხედს წარმოადგენს. სუსტად თამაშობენ აფონინი და დანილოვი და ერთადერთ ნამდვილ სტოპერს — შესტერნიოვს, ცხადია, უჭირს ყველა იმ „სირჩის“ გამოცალა, რომლითაც მას ანკ გულუსვად „უმასპინძლდებიან“ პარტნიორები. ნაკრების დაცვას, ისე როგორც ჰაერი, ესაჭიროება ხურცილავა და თუ ნ. მოროზოვი ინგლისში ამ ძლიერ სტოპერს გამოიყვანს, ჩვენი დაცვის რგოლი სწორძნობლად გამაგრდება. მარცხენა მცველის ადგილზე ამ საქმეში თვალსაჩინო წვლილის შეტანა შეუძლია კიეველ ოსტროვსკის.

ნახევარდაცვის საუკეთესო წყვილად ჩვენ „კიევური დუეტი“ გვეასება — სერგბრიანიკოვი და საბო. ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს ნახევარმცველად აღიარებულმა ვორონინმა კარგა ხანია უკლო თამაშს, ბოლო ხანებში კი აშკარად ცუდ ფორმაშია. სამწუხაროდ, ეს აზრი დასაბუთებას არ მოითხოვს. გამთამაშელის ფუნქციას, რომელსაც ადრე შესანიშნავად ართმევდა თავს ვორონინი, ახლა არანაკლებ ეფექტურად ასრულებს სერგბრიანიკოვი (გავიხსენოთ მისი თამაში ფრანგებთან, სადაც იგი სტუმართა კარში მეორე და მესამე გოლების თანაავტორად მოგვევლინა. თანაც, მესამე ბურთი მართლაც ბრწყინვალედ გაითამაშა ჩისლენკოსთან).

საბჭოთა ნაკრების თავდამსხმელების მთავარ ნაკლად უნდა მივიჩნიოთ მეტისმეტად შაბლონური მოქმედება. მათ თამაშში იმპროვიზაციის ნასახსაც ვერ აღმოაჩენთ. ერთი ჟურნალისტის მოსწრებული თქმით, „მათი კომბინაციების უმრავლესობა არა მარტო მეტოქეთა დაცვისთვისაა მოულოდნელი. არამედ თვით მათთვისაც“. ამავე დროს. როგორც აღვნიშნეთ, ჩვენი თავდამსხმელები მოწინააღმდეგის კარის აღების ბევრ ნაღდ შანსსაც ვერ იყენებენ, რაც შეიძლება საბედისწერო გამოდგეს ინგლისში (იქ, ალბათ, გოლის გატანის ამდენი შესაძლებლობა არ იქნება!).

ბოლო დროს ნაკრების თავდამსხმელთა ოთხეული უმთავრესად ასე გამოიყურებოდა: მეტრეველი, ბანიშევსკი, მალოფეევი, ჩისლენკო. მინსკელმა ფეხბურთელმა რომ ვერ გაამართლა იმედები, ამას, როგორც ჩანს, ნაკრების ხელმძღვანელობაც მიხვდა. მის ნაცვლად მარქაროვის გამოყვანა, ჩვენი აზრით, მისასალმებელია, ვინაიდან ამ სწრაფ და ტექნიკურ ფეხბურთელს დიდი უნარი აქვს გაარღვიოს საყოველთაოდ გაბატონებული „მეტონი“, თანაც, თანაკლუბელ ბანიშევსკისთან მხარდამხარ ამ ორი ფორვარდის შემტევი ძალა და ეფექტურობა საგრძნობლად გაიზრდება.

მარცხენა ფლანგზე, ცხადია, მესხმა უნდა ითამაშოს. შეიძლება ჩისლენკო არაა სუსტი, მაგრამ იგი, უბრალოდ, მარცხენა გარემარბი არ გახლავთ (მარტო ის რად ღირს, რომ ჩისლენკოს არ ძალუძს სწრაფ ტემპში, შეუჩერებლივ, მარცხენა ფიხით თავისუფლად შემოაბრუნოს ბურთი და კარის გასწვრივ ჩააწოდოს) იქნებ მესხს ჰქონდა კიდეც რაღაც კრიზისისმაგვარი პერიოდი, მაგრამ საკავშირო ჩემპიონატის ბოლო მატჩებში საუცხოოდ თამაშით მან ყველაზე ნაღდი ანანახადი გააკეთა ნაკრების მე-11 ნომრისგ.

... ცუდად ყოფილა საქმეო, — იტყვის მკითხველი. დიახ, საქმე მაინცდამაინც აწყობილად ვერ არის, მაგრამ, როგორც თავში ვთქვით, უიმედოდ ჩვენი მტერი იყოს!

ჯერ ერთი. — იმედი უნდა გვქონდეს ჩვენი ნაკრების მორალური სიმტკიცის და გამარჯვებისკენ მისი შეუნელებელი სწრაფვისა. თანაც, მეტოქეთა კარის აღების უამრავი შესაძლებლობა იმისი დამადასტურებელია, რომ საბჭოთა თავდამსხმელებს შესწევთ უნარი წარმატებით გაარღვიონ სხვადასხვა ფორმისა და შინაარსის „ციხე-სიმაგრეები“ (რა იქნებოდა, რომ მათი დამამთავრებელი დარტყმები ზუსტი იყოს!).

მეორე, — საბჭოთა ფეხბურთელები ფიზიკურად კარგად არიან მომზადებული, რაც იმის გარანტია გახლავთ, რომ ისინი მთელი შემართებით იბრძოლებენ თამაშის ბოლო წუთამდე.

მესამეც: საბჭოთა ფეხბურთელებს ძალ-ღონისა და ნებისყოფის მობილიზების დიდი უნარი აქვთ და უნდა ვირწმუნოთ, რომ ინგლისის სტადიონებზე ისინი საამისოდ ყველაფერს იღონებენ.

და, ბოლოს, ინგლისში ხომ ჩვენ გუნდზე სუსტებიც იქნებიან (მაგალითად, საფრანგეთის ნაკრები ამას წინათ მოსკოვში მასპინძლებს ჩამოუგარდებოდა).

ერთი სიტყვით, დაველოდოთ ცნობებს ინგლისიდან... დიდხანს ლოდინი ხომ არ მოგვიწევს!

მ. კაკაბაძე.

აი, ვსენი ითამაშებენ ინგლისში

ანტონიო რატინი

როცა ანტონიო უბანდო რატინმა ფეხბურთის თამაში დაიწყო, მისი თანაგუნდელები მოითხოვდნენ იგი კარში მდგარიყო, ვინაიდან ანტონიო მაღალი და მკლავგრძელი იყო.

— მაგრამ მე არ მსურდა ხელებით მემუშავა. ფეხების გამოყენება უფრო მომწონა და ასე გავხდი ცენტრალური მცველი, — ამბობს რატინი.

იგი 28 წლისაა და 10 წელია ბუენოს-აირესის „ბოკა სუნიორსში“ თამაშობს. არგენტინის სპორტული პრესა მას უკვე ვეტერანს უწოდებს, მაგრამ რატინი კვლავინდებურად ითვლება ერთ-ერთ საუკეთესო სტოპერად და ლონდონში. გამგზავრების რეალური კანდიდატია.

— როცა „ბოკა სუნიორსში“ მოვედი. მე-5 გუნდში დამაყენეს. 2 წლის შემდეგ. 1957 წელს, უკვე ძირითად შემადგენლობაში ვთამაშობდი.

რატინს ძალიან უყვარს პელე.

— იგი მსოფლიოს უძლიერესი ფეხბურთელია, ამაში ეჭვის შეტანაც კი ზედმეტია. კლუბებიდან მომწონს მილანის „ინტერი“, ვინაიდან მისი მოთამაშეები განსაკუთრებული სისწრაფით გამოირჩევიან.

— თუ ჩვენი ნაკრები კარგად მოემზადება, ინგლისში არავისი შეგეშინდება. მთავარია კარგად მომზადება, ეს კი ჩვენი გუნდისთვის ყოველთვის პრობლემა იყო — ამბობს რატინი.

სურათზე: ანტონიო რატინი.

ნარევი

ინგლისური ფირმა „ბროდი“ (ქ. ბრაიდპორტი) ცნობილია იმით, რომ 1213 წელს მეფე ჯონისგან მიიღო დაკვეთა დაემზადებინა თოკის საბორდაჟო კიბეები სამხედრო გემების საბრძოლველად. ახლა ამ ფირმამ მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტისგან მიიღო შეკვეთა დაამზადოს ბადეები ფეხბურთის კარისათვის.

„ბროდი“ საგანგებოდ ამზადებს ბადეებს. თვითეულ მათგანს ეკნება 25.000 კვანძი და მრავალ წელს გაძლებს.

• • •

რიო-დე-ჟანეირო. სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად არჩეულია პერუს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელი ფულერი.

• • •

ჩილის სპორტული საზოგადოებრიობა შეშფოთებულია თავისი ეროვნული ნაკრების დაბალი მაჩვენებლებით, კერძოდ, თავდამსხმელების ცუდი თამაშით. გაზეთმა „ლა სეგუნდამ“ ნაკრების თავდამსხმელებს უწოდა „გაერთიანებული კანდიდატი ნობელის მშვიდობის პრემიის“ მისაღებად.

ე. ფაბრიმ „იპოვა“ გარემარბი

იტალიის ნაკრების მთავარ მწვრთნელს ე. ფაბრის ბოლო თვეების მანძილზე ძალიან აწუხებდა მარცხენა გარემარბის პრობლემა. მას მიაჩნდა, რომ მსოფლიო ჩემპიონატისთვის არ გამოადგებოდა პასკუტი, რომელიც გვიან შემოდგომაზე მძიმედ დაშავდა და მხოლოდ მარტის შუა რიცხვებიდან განაახლა გარჯიში. ამ პოსტზე მას ურჩევდნენ ადრე ნაკრებიდან გამოყვანილი დომენგინის გამოყენებას ან კორსოს მიწვევას, თუმცა ცნობილია ფაბრის განცხადება, რომ „კორსოს და რივერას ერთ გუნდში არაფერი ესაქმებათ“. ამასთან, მწვრთნელმა კარგა ხანია არჩევანი რივერას სასარგებლოდ გააკეთა.

მაისისთვის ფაბრის მხრებიდან მოეხსნა სიმძიმე — პასკუტმ ჩვეული ძალით დაიწყო თამაში. ჩემპიონატის ბოლო მატჩებში მას გულშემატკივრები გაუთავებელ ოვაციებს უწყობდნენ. მიმომხილველთა აზრით, ფაბრიმ უკვე გადაჭრა პრობლემა: თავდასხმის მარცხენა ფრთაზე ითამაშებს მისი საყვარელი ფეხბურთელების დუეტი — რივერა და პასკუტი.

ხ. ლორენცოს გეგმები

არგენტინის ნაკრების მწვრთნელმა ხ. ლორენცომ პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრებისთანავე მისი გუნდი მზადებას დაიწყებს დიდი საერთაშორისო ტურნირისთვის, რომელიც ბუენოს-აირესში მოეწყობა და მიეძღვნება არგენტინის დამოუკიდებლობის 160 წლისთავს. შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ ბრაზილიის, არგენტინის, იტალიისა და ესპანეთის ნაკრები გუნდები.

არგენტინის ფეხბურთის ფედერაციამ ფიფა-ს სთხოვა ნაკრებში თამაშის ნება დართოს გამოჩენილ ფეხბურთელებს სივორისა და მასხიოს. მასხიო შარშან დაბრუნდა იტალიიდან, სივორი კი კვლავ იქაურ „ნაპოლშია“.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

მეკარეთა სკოლა

ფეხბურთელთა საკავშირო შეჯიბრებებში საქართველო წარმოდგენილია ოსტატთა 11 გუნდით. მათგან 4 გამოდის „ა“ კლასში, ხოლო 7 — „ბ“ კლასში. ასეთ მასობრივ წარმომადგენლობას დიდ ასპარეზზე სჭირდება სათანადო რაოდენობისა და ხარისხის მოთამაშეები, კერძოდ, ისეთი სპეციფიკის ფეხბურთელები, როგორც მეკარეები. ჩვენი რესპუბლიკა მუდამ გამოირჩეოდა უმაღლესი კლასის მეკარეებით და ეს კარგი ტრადიცია არც მომავალში უნდა დავკარგოთ.

ამასთან დაკავშირებით, საქართველოს სპორტკავშირის საბჭომ საგანგებოდ განიხილა საკითხი ოსტატთა გუნდებისთვის მეკარეთა მზადების შესახებ და დაადგინა ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლასთან შექმნას მეკარეთა მოსამზადებელი ჯგუფი, სადაც გაერთიანდებიან 1948-52 წლებში დაბადებული ჭაბუკები. მათ მზადებას უხელმძღვანელებს წარსულში ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე, სპორტის ოსტატი მ. პიერაევი.

მსურველებს, რომლებსაც უნდათ მოხვდნენ მეკარეთა მოსამზადებელ ჯგუფში, უნდა შეიტანონ განცხადება ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლაში შემდეგი მისამართით: თბილისი, ჭავჭავაძის პროსპექტი, № 49, ფიზკულტურის ინსტიტუტი.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია.

ევროპა ევროპაზე

რიო-დე-ჟანეირო. ზუსტად 4 წლის შემდეგ შეხვდნენ ერთმანეთს ჩილის მსოფლიო ჩემპიონატის ოქროსა და ვერცხლის პრიზიორები — ბრაზილიისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდები. გამარჯვება ამჯერადაც ბრაზილიელებს დარჩათ — 2:1. ორივე გოლი პირველ ტაიმში გაიტანა პელემ. ფინალურ სასტვენამდე 8 წუთით ადრე სტუმრებმა გაქვითეს გოლი (მასნიკი). მსოფლიო ჩემპიონი თამაშობდა ასეთი შემადგენლობით: ჟილმარი, ფიდელისი, ბრიტო, ფონტანა, ენრიკე, ზიტო, ლიმა, ჟაირზინიო, ალსინღო, პელე (ტოსტაო), ამარილდო (ედუ).

ჩეხოსლოვაკიის ნაკრების მწვრთნელებმა მარკომ და ნოვაკმა განაცხადეს, რომ ბრაზილიელები უფრო სუსტად გამოიყურებიან, ვიდრე ჩილიში.

ლისაბონი. პორტუგალიის ფეხბურთელებმა აქ მიიღეს დანიის ნაკრები, დიდი უპირატესობით ჩაატარეს მატჩი და გაიმარჯვეს — 4:0. 3 ბურთი გაიტანა ეუსებიომ, 1 — აუგუსტომ.

ლა-კორუნია. ესპანეთის ნაკრებმა მიიღო ჰოლანდიის ცნობილი კლუბი „აიაქსი“. ესპანელებმა მატჩი მოიგეს ანგარიშით 2:1, თანაც თამაშში გამოსცადეს ნაკრების ყველა 22 კანდიდატი.

მეხიკო. ევროპაში გამგზავრების წინ მექსიკის ნაკრებმა თავის მინდორზე ჩაატარა სპარინგ-მატჩი ინგლისის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდ „ტოტენჰემ ჰოტსპურთან“. მექსიკელები დამარცხდნენ — 0:1.

ბუენოს-აირესი. ბოლონეთის ეროვნულმა ნაკრებმა დაასრულა ტურნე სამხრეთ ამერიკაში არგენტინის ნაკრებთან შეხვედრით. მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

პარიზი. საფრანგეთის ნაკრების ძირითადი მეკარე დანიელ ეონი ვერ გაემგზავრება მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში მონაწილეობის მისაღებად, ვინაიდან იგი სერიოზულად დაშავდა ეროვნული ჩემპიონატის კალენდარულ მატჩში.

სოფია. ბულგარეთის ნაკრებმა საერთაშორისო მატჩი გამართა გფრ-ის ექს-ჩემპიონთან, ბრემენის „ვერდერთან“ და გაიმარჯვა — 3:1.

ᲥᲔᲚᲘ ᲥᲐᲒᲔᲥᲘ

ИНДЕКС 66118 საქ. კპ ცკ-ის გამომკემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 11 უე 05974